საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დამპალა

დამპალა ისტორიული პუნქტი კახეთის სამეფოში.

ვახუშტი ბატონიშვილი დ-ს „იორის მდინარისათვის და მის ქვეყანათა" აღწერისას ახსენებს. იორის პირას მდებარე დ-ში ყოფილა კახეთის მეფეთა სასახლე „საზამთროდ ნადირობისათვის, არჩილ ა~მეფისამდე, კეთილს ადგილს, შუენიერს, წყაროიანსა".

ვახუშტი ბატონიშვილს დ. კახეთის სოფლების სიაში, როგორც დასახლ. პუნქტი, შეტანილი არა აქვს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ზ. ცინცაძე